რეგიონალური სასწავლო-კვლევითი ცენტრი

დებულება

1.1 საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის (შემდგომში -სტუ) საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებული სასწავლო/სამეცნიერო ერთეული - „რეგიონალური სასწავლო-კვლევითი ცენტრი" შემდგომში „ცენტრი" შექმნილია და დამტკიცებულია სტუ -ს აკადემიური საბჭოს 2014 წლის 18 ივნისის N55 დადგენილებით და სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2014 წლის 10 ივნისის N1177 გადაწყვეტილებით;

1.2 ცენტრი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, სტუ-ს წესდების წინამდებარე დებულების, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

1.3 ცენტრი მოქმედებს თვითდაფინანსების პრინციპით, ის შუამდგომლობს უნივერსიტეტის წინაშე შეკვეთებისა და შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმების მიზნით, მისი დებულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად;

1.4 საჭიროების შემთხვევაში, ცენტრი შუამდგომლობს უნივერსიტეტის წინაშე, როგორც საქართველოს, აგრეთვე სხვა ქვეყნის სპეციალისტების მოწვევის და მათთან სათანადო შრომითი ხელშეკრულებების გაფორმების თაობაზე;

1.5 რექტორის, შესაბამისი დარგის რექტორის მოადგილის, აკადემიური საბჭოს ან წარმომადგენლობითი საბჭოს(სენატის) მოთხოვნით შეიძლება ჩატარდეს ცენტრის ანგარიშის რიგგარეშე განხილვა.

2. ცენტრის საქმიანობის მიზნები და ძირითადი მიმართულებები

2.1. ცენტრის საქმიანობის მიზნებია:

- სამეცნიერო და პოლიტოლოგიური კავკასიოლოგიის სასწავლო -საკვლევი ბაზის ჩამოყალიბება და სტუდენტების მოზიდვა, მომზადება მათი სწავლება რეგიონის რთული და კომპლექსური გეოპოლიტიკური ასპექტების გათვალისწინებით.
- სასწავლო კურსების/ტრენინგების მომზადება.
- რეგიონალური მასშტაბის საუნივერსიტეტო პროცესების ხელშეწყობა (კავკასიოლოგიის მიმართულებით), საქართველოში და ზოგადად კავკასიაში საგანმანათლებლო ცენტრის შექმნა, სადაც მსოფლიოში აღიარებული და სერტიფიცირებული ცენტრებიდან მოვიწვევთ ამ დარგის სპეციალისტებს როგორც გაცვლითი, ასევე შრომითი ხელშეკრულების პირობებით.

2.2. ცენტრის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- რეგიონის ისტორია და გეოგრაფია;

- ეკონომიკა, გეოლოგია, ენერგეტიკა, ბუნებრივი და დემოგრაფიული რესურსები, კულტურა, ეთნოსი და ეთნოგრაფია, სოციოლოგია, ყოფა და ა.შ.
- რისკები და გამოწვევები: საზღვრები, რელიგია, ეროვნული უმცირესობები და ა.შ.
- კონფლიქტები და მათი გამომწვევი მიზეზები, ამ მიზეზების ტიპოლოგია და წარმოშობის მიზეზების იდენტიფიცირების გზები და საშუალებები.
- პოლიტიკური და ჰუმანიტარული ფაქტორების ურთიერთგავლენა, გეოპოლიტიკური რეალობა და პერსპექტივები.
- კომუნიკაციები და სატრანზიტო პოტენციალი.
- კავკასიის, როგორც რეგიონის პოპულარიზაცია, უნივერსიტეტის სატელევიზიო და სხვა სადემონსტრაციო მასალის გამოყენებით.

2.3 ცენტრის სასწავლო პროგრამის მოსალოდნელი შედეგები და მათი დანერგვა

- ცენტრის მიერ მომზადებული სტუდენტები/მსმენელები კურსის გავლის შემდეგ მიიღებენ შესაბამის დამადასტურებელ სერტიფიკატს, რომლის ვარგისიანობა აღიარებული იქნება როგორც ევროპული, ასევე ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების მიერ. ისინი დასაქმდებიან ქვეყნის სხვადასხვა ფედერალურ სტრუქტურაში, რომელთა პროფილი რელევანტური იქნება ცენტრის სასწავლო-კვლევით მიზნებთან და ამოცანებთან. ასეთებად მოაზრებულია უშიშროების, დაზვერვის, შინაგან საქმეთა, საზღვრის დაცვის ინსტიტუციები.
- ცენტრის მიერ გაწეული სასწავლო-კვლევითი საქმიანობის შედეგი შესაძლო იქნება დაინერგოს ზემოაღნიშნულ ინსტიტუციებში, სხვა სასწავლო დაწესებულებებსა და კვლევით ცენტრებში. საქმიანობის გაზრდა, პოპულარიზაცია და არეალის გაზრდა კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ამ რეგიონის ხალხთა შორის მშვიდობას, კულტურის, სამეცნიერო და განათლების კრების დაახლოებას ერთობლივი პროექტების განხორციელებას.

3. ცენტრის შემადგენლობა და მართვა

3.1 ცენტრის ძირითად შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენენ:

1. ცენტრის ხელმძღვანელი, რომელიც წარმართავს სამეცნიერო -კვლევით პროცესს, ჰქმნის გეგმებს, რომელსაც ათანხმებს უნივერსიტეტის რექტორატთან;
2. კავკასიური კაბინეტი, რომელიც წარმოადგენს სასწავლო-სამეცნიერო პროცესის ილუსტრატიულ მხარეს (ელექტრონული ბიბლიოთეკა, პოლიგრაფიული და სხვა სადემონსტრაციო მასალის შექმნა/პოპულარიზაცია).
3. ცენტრის ადმინისტრაცია, რომელიც ცენტრის ხელმძღვანელთან ერთად წარმართავს სამუშაო პროცესს:

- ქმნის სამოქმედო გეგმებს.

- იზიდავს სხვადასხვა დონის სასწავლო კონტიგენტს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სწავლის გასაგრძელებლად, როგორც საქართველოდან, ისე რეგიონიდან და მსოფლიოს სხვა ქვეყნებიდან.
- რექტორატთან შეთანხმებით, ცენტრის მიზნებისათვის იწვევს სპეციალისტებს მსოფლიოს წამყვანი საუნივერსიტეტო ცენტრებიდან.
- უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურებთან ერთად ქმნის საკომუნიკაციო სივრცეს და პოლიგრაფიულ პროდუქციას.

3.2 ცენტრს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი. ცენტრის უფროსის თანამდებობა არ წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ თანამდებობას;

3.3 ცენტრის უფროსი უფლებამოსილია:

- განახორციელოს კონტროლი ცენტრის თანამშრომლების მიერ მათზე განპირობებული სამუშაოს დროული და სრული მოცულობით შესრულებაზე, შრომის ანაზღაურებასა და სხვა ადმინისტრაციულ ღონისძიებებზე;
- მოაწყოს ცენტრის სამეცნიერო შრომების, განხორციელებული/მიმდინარე პროექტების, გამოშვებული/შედგენილი სახელმძღვანელოების, ახალი სამუშაოების და ა.შ. პრეზენტაციები;
- განახორციელოს ცენტრის ეფექტიან მართვასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სხვა აუცილებელი საქმიანობა;
- მოამზადოს ხელშეკრულებების პროექტები და გასაფორმებლად წარუდგინოს სტუ-ს რექტორს.

3.4 ცენტრის უფროსს, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ენიჭება პასუხისმგებლობა სამეცნიერო სამუშაოების და საგანმანათლებლო საქმიანობის მოცულობის, მიმართულებების, შესრულების ვადების, შინაარსის და ხასიათის განსაზღვრისათვის, აგრეთვე ცენტრისათვის სარგებლობის უფლებით გადაცემული უნივერსიტეტის ქონების მიზნობრივად ამოყენების, შენახვისა და გამართულ მდგომარეობაში შენარჩუნებისათვის;

3.5 ცენტრის პერსონალი შედგება დამხმარე პერსონალისაგან;

3.6 ცენტრის პერსონალს ნიშნავს და სამუშაოდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი, ცენტრის უფროსის წარდგინების საფუძველზე;

3.7 ცენტრის პერსონალის შრომითი ანაზღაურება განისაზღვრება ცენტრის შემოსავლების მიხედვით;

3.8 იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ხელშეკრულებების გაფორმება ხორციელდება უნივერსიტეტში მიღებული წესის და ფორმების შესაბამისად;

3.9 ცენტრის ხელმძღვანელი ყოველი საფინანსო წლის ბოლოს ანგარიშს აბარებს სტუ-ს ანგარიშგება - აღრიცხვის დეპარტამენტს, აკადემიურ საბჭოს და წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს);

4. ცენტრის ქონება, ფინანსები და დაფინანსების წყაროები

4.1. ცენტრი განლაგებულია: კოსტავას 77, სტუს-6 კორპუსი;
4.2. ცენტრი საქმიანობას წარმართავს თვითდაფინანსების პრინციპით, ამავე დროს ის არ არის საფინანსო-საგადასახადო სისტემის განცალკავებული ნაწილი, ის წარმოადგენს უნივერსიტეტის საფინანსო სისტემის ერთ-ერთ ნაწილს.

ცენტრის საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან ფინანსური ურთიერთობის რეგულირების პოლიტიკას (წესს), განსაზღვრავს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი), რომლის საფუძველზეც საგეგმო-საფინანსო დეპარტამენტი ეწევა ფინანსურ მენეჯმენტს.
4.3. სამუშაოების წარმოების საფუძველს წარმოადგენს ცენტრის უფროსის წარდგინების საფუძველზე დამკვეთსა (შემსრულებელსა) და უნივერსიტეტს შორის დადებულიხელშეკრულება.
4.4. გაწეული სამუშაოს ანაზღაურება წარმოებს ხელშეკრულების საფუძველზე;
4.5. ფინანსური და საბუღალტრო ანგარიშგების ფორმები, ხელშეკრულებები,სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტები და მისთ. რეგულირდება სტუ-ს შიდა ადმინისტრაციული აქტებით.

5. ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

5.1. ცენტრის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება სტუ-ს შესაბამისი ადმინისტრაციული აქტებით და დადგენილი წესის შესაბამისად;

6. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

6.1 დებულებაში ცვლილებებსა და დამატებებს შეიმუშავებს ცენტრის უფროსი, რასაც განიხილავს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო და ამტკიცებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო(სენატი).

7. დასკვნითი დებულებები

7.1 წინამდებარე დებულება ძალაში შედის უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს(სენატის) მიერ დამტკიცებისთანავე.